



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030167040684920

№ 10-40/ო

04 / დეკემბერი / 2020 წ.

**„ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N04-34/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 აგვისტოს №509 დადგენილების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილების (შემდგომში-დადგენილება) პირველი მუხლით დამტკიცებული პროგრამის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 2 დეკემბრის N9563 (N10/3261; 27.11. 2020წ.) წერილის და „სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 18 აგვისტოს № 01-91/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

**1.** „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N04-34/ო ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით (შემდგომში-დადგენილება) დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლების მიერ განმარტოვებული წარმოსადგენი ანგარიშგების ფორმები (დანართები: N1- N28, N31-N40);“

**2.** ამ ბრძანების პირველი პუნქტიდან გამომდინარე, „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N04-34/ო ბრძანებაზე, N31-N40 დანართის სახით დამატებული ანგარიშგების ფორმები (თან ერთვის წინამდებარე ბრძანებას) შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 2020 წლის განმავლობაში გაწეული სამედიცინო მომსახურების ანგარიშგებისას.

**3.** ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ N31-N40 ანგარიშგების ფორმებზე გავრცელდეს „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N04-34/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ ფარგლებში, საანგარიშგებო დოკუმენტაციის (შემთხვევათა რეესტრი) შევსების ინსტრუქცია (დანართი N29).

4. „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ანგარიშგების მიზნით, ამ ბრძანებით დამტკიცებული N31-N40 ფორმებით, ანგარიშგება განხორციელდეს დადგენილების მიხედვით, შესაბამისი კომპონენტ(ებ)ის ამოქმედების ვადების გათვალისწინებით.


5. ბრძანების შესრულების კოორდინაცია დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსს (კ. ჩხარტიშვილი).

6. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (მ. ქვარაია) უზრუნველყოს ამ ბრძანების და მისი დანართების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისათვის გაგზავნა, აგრეთვე, მათი გამოქვეყნება, დროებით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე, საჯაროობის მიზნით.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

8. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამგდამსულია  
ელექტრონულად 

თამარი მელიქიძე